შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2024 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N095/22 (საქმე Nსსდ-01-24)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრები: ეკატერინე გეწაძე, ეკატერინე მაჭარაშვილი, მარიკა არევაძე, მარინე ცუცქირიძე, ინგა ნებიერიძე, ანა კოტეტიშვილი, ბესარიონ ბოხაშვილი, ოთარ კაჭკაჭაშვილი, ინგა ბერიძე, ბესიკ ქარცივაძე, ნათია ჩიტაშვილი

საჩივრის ავტორი: მერაბ სინაურიძე

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი ნანა წულაძე /სიითი N1307/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.11.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 095/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მანანა ბაფერიძის /სიითი №/0114/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მანანა ბაფერიძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 4 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მერაბ სინაურიძემ და მოითხოვა ადვოკატ მანანა ბაფერიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2022 წლის 8 დეკემბერს საჩივრის ავტორმა, წარმომადგენელთან -

ადვოკატ ნანა წულაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომაში, სადაც მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა - ადვოკატმა ნანა წულაძემ მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 5 ივლისის განხილვის კოლეგიისა და 2023 წლის 11 ოქტომბრისა და 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომებში, სადაც მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის წლებია იცნობს ადვოკატ მანანა ბაფერიძეს და წლების წინ მისგან საადვოკატო მომსახურება მიიღო სამოქალაქო საქმეზე, რის გამოც 2010 წელს ადვოკატს სანოტარო წესით გაუფორმა „უვადო“ მინდობილობა, რაც საქმისწარმოების დასრულების შემდეგ, კლიენტს აღარ გაუუქმებია. მერაბ სინაურიძის განმარტებით, 2022 წლის მაისის თვეში, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ის აღარ იყო მისი საცხოვრებელი ბინის, მდებარე - ქ. თბილისის, ილია ჭავჭავაძის N37 „დ“ (ს/კ 01.14.14.003.041.01.539,) მესაკუთრე. მესაკუთრის ცვლილებას საფუძვლად დაედო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2020 წელს მიღებული განჩინება (საქმე N2/20507-20). აღნიშნული ინფორმაცია მერაბ სინაურიძემ შემთხვევით მიიღო, მაშინ, როდესაც 2022 წლის მაისის თვეში ვაკის გამგეობამ ამხანაგობა „ილია ჭავჭავაძის 37“-დან საჯარო რეესტრის კრების ჩატარების თარიღის განსასაზღვრად ამონაწერი მოითხოვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისმა ყოფილმა მეუღლემ - ლენა ონიანმა 2020 წლის 1 ოქტომბერს საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მეუღლეთა შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ, მერაბ სინაურიძის ყოფილი ცოლის მიერ წამოწყებულ დავაში იმოქმედა მომჩივანის სახელით, 2010 წელს მიღებული მინდობილობის საფუძველზე, ისე, რომ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდა მომჩივანს. საქმის მასალების მოძიების შემდეგ, მერაბ სინაურიძემ დაადგინა, რომ ადვოკატი შესაგებელში დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას და მერაბ სინაურიძის ინფორმირების გარეშე გააფორმა მასთან მორიგების აქტი, რის საფუძველზეც შეწყდა სასამართლოში საქმისწარმოება და ლენა ონიანი დარეგისტრირდა მომჩივანის კუთვნილი უძრავი ქონების ახალ მესაკუთრედ.

1.3 მერაბ სინაურიძის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელში მისი, როგორც მოპასუხის, არასწორი მისამართი და ტელეფონის ნომერი იყო მითითებული. საჩივრის ავტორის განმარტებით, სარჩელი ჩაიბარა მისმა რძალმა, ნინო კორძაძემ, რომელსაც მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. სასამართლოდან გამოთხოვილი საქმის მასალებით გაარკვია, რომ სარჩელი მიიღო მისმა ყოფილმა ადვოკატმა - მანანა ბაფერიძემაც, რომელსაც საჩივრის ავტორმა მინდობილობა 10 წლის წინ გაუფორმა. მერაბ სინაურიძის განცხადებით, 2010 წლის შემდეგ, მას მანანა ბაფერიძესთან კომუნიკაცია არ ჰქონია. სარჩელის თაობაზე ადვოკატი მას არ დაკავშირებია და მისთვის უცნობი იყო საქმისწარმოების დეტალები. მერაბ სინაურიძე განმარტავს, რომ მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ ადვოკატი მანანა ბაფერიძე მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, სანოტარო წესით გააუქმა მასზე გაცემული მინდობილობა.

1.4 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ კეთილსინდისიერად არ შეასრულა პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად არ დაიცვა პროფესიული ეთიკის ნორმები და განახორციელა ისეთი ქმედებები, რამაც საფრთხე შეუქმნა მის ინტერესებს. ამდენად, საჩივრის ავტორი ითხოვს, ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ, 2022 წლის 17 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება; 2023 წლის 26 იანვარს კი მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომაში. ადვოკატი მანანა ბაფერიძე მონაწილეობდა ეთიკის კომისიის 2023 წლის 10 ოქტომბრისა და 20 ოქტომბრის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომებში, სადაც აღნიშნა, რომ ის 2010 წლიდან 2022 წლამდე იყო მერაბ სინაურიძის ოჯახის ადვოკატი. მისი განმარტებით, მერაბ სინაურიძეს მინდობილობა ადვოკატისთვის რამდენჯერმე აქვს გაცემული, ერთ-ერთი არის 2015 წლის 11 დეკემბერის რწმუნებულება რ/რ1513316 ინდ. N31990672728815, რომელშიც მერაბ სინაურიძის ნაცვლად ხელი მოწერილი აქვს მის ყოფილ მეუღლეს, ლენა ონიანს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მერაბ სინაურიძე საჩივარში ცრუ ინფორმაციას უთითებს, კერძოდ, საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის N37, ბ.2 (ს/კ 01.14.14.003.041.01.539), 2013 წლის 9 დეკემბერს განვადებით შეიძინა ლენა ონიანმა, მაშინ როდესაც ისინი ფაქტობრივად დაშორებულები იყვნენ, თუმცა ოფიციალურად ჯერ კიდევ ცოლ-ქმარს წარმოადგენდნენ. მანანა ბაფერიძე განმარტავს, რომ მას აღიქვამდნენ, როგორც მერაბ სინაურიძის ოჯახის ადვოკატს. ის, საჩივრის ავტორსა და მისი ოჯახის წევრებს უწევდა იურიდიულ დახმარებას როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე. ადვოკატი მერაბ სინაურიძის, როგორც დაზარალებულის, ინტერესებს იცავდა სისხლის სამართლის საქმეზეც (N1-224-18წ). საქმეს არსებითად იხილავდა მოსამართლე ლიანა ორკოდაშვილი. ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის თებერვალში ლენა ონიანსა და მერაბ სინაურიძეს შორის მორიგება უკვე გაფორმებული იყო და მერაბ სინაურიძე ფლობდა ინფორმაციას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ადვოკატის განმარტებით, მას მერაბ სინაურიძე 2010 წლის შემდეგ ფიზიკურად არ უნახავს, მათ შორის კომუნიკაცია ამ დროის განმავლობაში დისტანციურად მიმდინარეობდა, კერძოდ, მისი მეუღლის - ლენა ონიანის მობილური ტელეფონით. მანანა ბაფერიძე განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურების თანხას იხდიდა ლენა ონიანი, პირადად მერაბ სინაურიძეს მისთვის მომსახურების საფასური არასდროს გადაუხდია. ადვოკატის განმარტებით, იგი მერაბ სინაურიძეს და მისი ოჯახის წევრებს იურიდიულ დახმარებას უწევდა მათთან შეთანხმებით და ყველა დოკუმენტაციაც მათი მითითებებით იქმნებოდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სადავო უძრავი ქონება ლენა ონიანს შეუძინეს ძმებმა, და მერაბ სინაურიძეს აღნიშნული ბინის შეძენაში მონაწილეობა არ მიუღია. ადვოკატის განმარტებით, 2019

წელს, მასთან სატელეფონო კონსულტაციის საფუძველზე, ლენა ონიანმა ბინა გადაუფორმა მერაბ სინაურიძეს იმ პირობით, რომ აშშ-ში წასვლის შემდეგ, იგი ბინის საფასურს - 175 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათას) აშშ დოლარს ამერიკიდან გამოუგზავნიდა ლენა ონიანს. მერაბ სინაურიძე ავადმყოფობის გამო ამერიკაში ვერ წავიდა და ვერც ბინის საფასური გადაუხადა ყოფილ მეუღლეს. ადვოკატის განმარტებით, მერაბ სინაურიძე მას ლენა ონიანის ტელეფონით დაუკავშირდა; უთხრა, რომ ავად იყო და სთხოვა ბინა კვლავ ლენა ონიანისათვის გადაეფორმებინა. ადვოკატის განმარტებით, ამ დროისათვის ცოლ-ქმარს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო.

2.4 ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ 2023 წლის 10 და 20 ოქტომბრის სხდომებზე განმარტა, რომ მას ამ ეტაპზე არ აქვს შესაძლებლობა მასსა და მერაბ სინაურიძეს შორის არსებული კომუნიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება წარმოადგინოს ეთიკის კომისიაში, ვინაიდან კლიენტის მითითებებსა და ზრახვებში ეჭვი არასოდეს შეპარვია და ასეთი დოკუმენტაცია არ შეუნახავს, ამასთან, ადვოკატმა დააზუსტა, რომ კლიენტს უმეტესად ლენა ონიანის მობილური ტელეფონით ესაუბრებოდა და მათი კომუნიკაცია იყო ზეპირი ფორმის. 2023 წლის 20 ოქტომბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე, ეთიკის კომისიის წევრის შეკითხვაზე, თუ მერაბ სინაურიძე თანახმა იყო უძრავი ქონება გადაეფორმებინა ლენა ონიანისათვის, რატომ არ მიმართეს მათ პირდაპირ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს, ადვოკატმა განმარტა, რომ მენაბ სინაურიძის ინტერესს წარმოადგენდა სასამათლოს გზით მორიგების გაფორმება. ადვოკატის განმარტებით, არ არსებობს მისი დისციპლინირების საფუძველი, რადგან ის კლიენტის მითითებების შესაბამისად მოქმედებდა.

2.5 ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ ეთიკის კომისიის 2023 წლის 10 და 20 ოქტომბრის სხდომებზე განმარტა, რომ თავისი პოზიციის დასადასტურებლად, მან საპროცესო კოლეგიას წარუდგინა მოწმე ლენა ონიანი. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ - მანანა ბაფერიძის შუამდგომლობის საფუძველზე, 2023 წლის 2 თებერვალს მოწმის სტატუსით გამოკითხა მერაბ სინაურიძის ყოფილი მეუღლე - ლენა ონიანი. ლენა ონიანის განმარტებით, მან სასამართლოში წარდგენილი სარჩელი სხვა იურისტს დააწერინა, რომელიც მანანა ბაფერიძეს კურიერის მეშვეობით მიუტანეს ოფისის მისამართზე. მისივე განმარტებით, მორიგების აქტი მისი და მერაბ სინაურიძის კარნახით შეადგინა ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ. მოწმის განცხადებით, ის ესწრებოდა მომჩივანისა და ადვოკატის სატელეფონო საუბარს, რა დროსაც მომჩივანმა ადვოკატ მანანა ბაფერიძეს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ხელი შეეწყო ლენა ონიანისათვის, ვინაიდან სურდა მალე დაშორებოდა მას და დათანხმდა ბინის გადაფორმებაზე. მოწმემ დააზუსტა, რომ მანანა ბაფერიძე წლების განმავლობაში წარმოადგენდა ოჯახის ადვოკატს, ის პირადად არ ხვდებოდა მერაბ სინაურიძეს და მის დავალებებს იღებდა ლენა ონიანის მობილური ტელეფონით. ლენა ონიანმა განმარტა, რომ თავადაც არაერთხელ დაკავშირებია ადვოკატს სხვადასხვა საქმეზე და ადვოკატი მასაც ეხმარებოდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 7 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ 2010 წელს მერაბ სინაურიძისგან მიღებული მინდობილობით, კლიენტის ინფორმირების გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში (საქმე N2/20507-20, მხარეები: მოსარჩელე - ლენა ონიანი, მოპასუხე - მერაბ სინაურიძე), ცნო სარჩელი და ხელი მოაწერა მორიგების აქტს, რომლის საფუძველზეც ლენა ონიანმა საკუთრების უფლება დაირეგისტრირა მასსა და მერაბ სინაურიძეს შორის არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა; 6.2,8.1 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5, 6.1, 8.1, 8.2, 8.5; 8.6 მუხლები.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის მეორე დისციპლინური კოლეგიის 2023 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. განხილვის კოლეგიამ, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული გადაცდომები, თავისი შინაარსით იმდენად მძიმეა, რომ ადვოკატის მიმართ ამ გადაცდომების სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ, სახდელის სახით შესაძლოა გამოყენებულიყო გაფრთხილებაზე მეტი - განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

5.1.1 2010 წლის 19 თებერვალს მერაბ სინაურიძემ ადვოკატ მანანა ბაფერიძეს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა (N100149340), რომლის მიხედვითაც ადვოკატს ჰქონდა უფლებამოსილება კლიენტის ინტერესები წარმოედგინა სამივე ინსტანციის სასამართლოში; განეხორციელებინა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის, საქმე დაემთავრებინა მორიგებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. მერაბ სინაურიძის მიერ მანანა ბაფერიძისათვის 2010 წლის 19 თებერვალს გაფორმებული მინდობილობა N100149340.

5.1.2 მერაბ სინაურიძე და ლენა ონიანი განქორწინდნენ 2010 წლის 4 მაისს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2010 წლის 4 მაისის განქორწინების მოწმობა N044500.

5.1.3 2013 წლის 9 დეკემბერს, ლენა ონიანმა შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის N37, ბ.2 (ს/კ 01.14.14.003.041.01.539).

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატის ახსნა-განმარტება;

2. ლენა ონიანსა და ვასილ კალანდაძეს შორის 2013 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება.

5.1.4 2019 წლის 8 ოქტომბერს, მერაბ სინაურიძემ ლენა ონიანასაგნ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე: მდებარე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის N37, ბ.2 (ს/კ 01.14.14.003.041.01.539). ნასყიდობის საფასურად განისაზღვრა 175 000 აშშ დოლარი. 2019 წლის 10 ოქტომბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მერაბ სინაურიძე დარეგისტრირდა აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. მხარეთა შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება;

3. 2019 წლის 10 ოქტომბრის N882019828640 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

5.1.5 ლენა ონიანი და მერაბ სინაურიძე წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგე მხარეებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე N2/20507-20), კერძოდ, 2020 წლის 01 ოქტომბერს ლენა ონიანმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მერაბ სინაურიძის მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სარჩელი ხელმოწერილია უშუალოდ ლენა ონიანის მიერ (საქმე N2/20507-20).

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. ლენა ონიანის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 01 ოქტომბერს წარდგენილი სარჩელი.

5.1.6 2020 წლის 12 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, საქმეზე N2/20507-20, ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ, 2010 წლის 19 თებერვლის N100149340 მინდობილობით, მერაბ სინაურიძის სახელით, წარადგინა შესაგებელი, სადაც სრულად

დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას. შესაგებელი ხელმოწერილია უშუალოდ ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 12 ოქტომბერს წარდგენილი შესაგებელი;

3. მერაბ სინაურიძის მიერ მანანა ბაფერიძისათვის 2010 წლის 19 თებერვალს გაფორმებული მინდობილობა N100149340.

5.1.7 ლენა ონიანმა და ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ, 2020 წლის 19 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, წარადგინეს განცხადება (N4031986) წარმოების შეწყვეტაზე, სადაც მითითებულია, რომ ლენა ონიანი და მერაბ სინაურიძე მორიგდნენ და განცხადებას ერთვის 2020 წლის 19 ოქტომბრის მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც მხარეები თანხმობას აცხადებდნენ გაუქმებულიყო მათ შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის N37, ბ.2 (ს/კ 01.14.14.003.041.01.539) საკუთრების უფლება გადასცემოდა ლენა ონიანს. მორიგების აქტი ხელმოწერილია უშუალოდ ლენა ონიანისა და ადვოკატ მანანა ბაფერიძის, როგორც მერაბ სინაურიძის წარმომადგენლის მიერ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. ლენა ონიანის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 19 ოქტომბერს წარდგენილი განცხადება;

3. ლენა ონიანისა და ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ ხელმოწერილი 2020 წლის 19 ოქტომბრის მორიგების აქტი.

5.1.8 2020 წლის 9 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამათლომ, საქმეზე N2/20507-20 (მოწინააღმდეგე მხარეები: ლენა ონიანი და მერაბ სინაურიძე) მიიღო განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმადაც ლენა ონიანი ცნობილ იქნა უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის N37, ბ.2 (ს/კ 01.14.14.003.041.01.539) მესაკუთრედ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინება (საქმე N2/20507-20) მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

5.1.9 ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ 2020 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (საქმეზე N2/20507-20) წარადგინა განცხადება N4100788, სადაც მითითებულია, რომ უარს ამბობს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინების გასაჩივრებაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, საქმეზე N2/20507-20, 2020 წლის 12 ნოემბერს წარდგენილი განცხადება N4100788.

5.2 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტები:

5.2.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ არ აცნობა კლიენტს - მერაბ სინაურიძეს, რომ მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ლენა ონიანმა; კლიენტის ინფორმირების გარეშე ცნო სარჩელი აღნიშნულ სამოქალაქო დავაში (საქმე N2/20507-20; მოსარჩელე - ლენა ონიანი, მოპასუხე - მერაბ სინაურიძე), ლენა ონიანთან ერთად წარადგინა ერთობლივი განცხადება წარმოების შეწყვეტაზე, მორიგების აქტთან ერთად, რომლის მიხედვითაც მერაბ სინაურიძის კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის N37, ბ.2 (ს/კ 01.14.14.003.041.01.539) მესაკუთრედ ცნეს მერაბ სინაურიძის მოწინააღმდეგე მხარე - ლენა ონიანი.

ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას მხარეებმა წარმოადგინეს ურთიერთსაპირისპირო განმარტებები ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებისა და კლიენტისაგან მისი სახელით გაფორმებული მორიგების აქტის პირობებზე თანხმობის მიღების შესახებ. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, რომ 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა, სადაც მოწინააღმდეგე მხარეებს წარმოადგენდნენ ის და ლენა ონიანი. კლიენტისათვის უცნობი იყო, რომ ადვოკატმა განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, კერძოდ, სრულად დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და ლენა ონიანთან ერთად წარადგინა მორიგების აქტი, რომლის საფუძველზეც კლიენტმა დაკარგა სოლიდური ღირებულების უძრავი ქონება. ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ უარყო აღნიშნული ფაქტები და განმარტა, რომ ის მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით და კლიენტისაგან მითითებებს იღებდა ლენა ონიანის მობილური ტელეფონით.

განხილვის კოლეგიის შეფასებით, კლიენტის ინფორმირების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1294-1214-2015). „კლიენტისათვის საქმეზე სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის

კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“, 20.09.2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N 066/20, 4.2.1).

ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ლენა ონიანის ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი განმარტება, სადაც ლენა ონიანი უთითებდა, რომ მანანა ბაფერიძე წარმოადგენდა ოჯახის ადვოკატს. ლენა ონიანის განმარტებით, მისი ტელეფონის საშუალებით, ადვოკატი მანანა ბაფერიძე ესაუბრა მერაბ სინაურიძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა ლენა ონიანისათვის უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის N37, ბ.2 (ს/კ 01.14.14.003.041.01.539, მიკუთვნებაზე და ლენა ონიანთან ერთად უკარნახა მორიგების პირობები. აღნიშნული პოზიცია ლენა ონიანმა გაიმეორა საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 2 თებერვლის სხდომაზე, სადაც ლენა ონიანი გამოიკითხა მოწმის სტატუსით. თავად მერაბ სინაურიძემ აღნიშნული ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ლენა ონიანის პოზიცია და განმარტა, რომ 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაში (საქმე N2/20507-20), ლენა ონიანი და მერაბ სინაურიძე წარმოადგენდნენ პროცესუალურ მოწინააღმდეგეებსა და დაპირისპირებულ მხარეებს. მერაბ სინაურიძეს ქონებრივი უფლების დარღვევაზე პრეტენზია დღესაც აქვს ლენა ონიანის მიმართ. ადვოკატ მანანა ბაფერიძის ქმედების შედეგად, მერაბ სინაურიძემ დაკარგა საკუთრების უფლება სოლიდური ღირებულების უძრავ ქონებაზე, ლენა ონიანის სასარგებლოდ. სწორედ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე დავობს საჩივრის ავტორი და პრეტენზიას აყენებს ადვოკატის მიმართაც, რომელსაც ედავება მისი ინფორმირების გარეშე, მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებით მოქმედებას. ლენა ონიანსა და მერაბ სინაურიძეს აქვთ ურთიერთსაპირისპირო ინტერესები და ლენა ონიანი წარმოადგენს არა ნეიტრალურ მოწმეს, არამედ საქმის შედეგით პირდაპირ დაინტერესებულ პირს, რომლის ინტერესებზე ეთიკის კომისიაში განსახილველი საკითხი პირდაპირ ზემოქმედებას შესაძლოა ახდენდეს. ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ლენა ონიანი თავის წერილობით და ზეპირ განმარტებაში უთითებს: „ადვოკატ მანანა ბაფერიძესთან ძირითადი ურთიერთობა მქონდა მე - ლენა ონიანს და გასამრჯელოსაც მე ვუხდიდი“. შესაბამისად დგინდება, რომ ადვოკატი ფულად თანხას იღებდა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისაგან, თუმცა პარალელურად, განაგრძობდა კლიენტის ინტერესების წარმოდგენას ისეთ დავაში, სადაც მისთვის გასამრჯელოს გადამხდელი პირი - ლენა ონიანი და მისი კლიენტი - მერაბ სინაურიძე დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ.

ადვოკატმა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან - ლენა ონიანთან ერთად, განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, ლენა ონიანმა და ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ ერთობლივი განცხადებები (2020 წლის 5 ნოემბრის და 19 ოქტომბრის განცხადებები N4031986 და N4081391, მორიგების აქტის დამტკიცებაზე; 2020 წლის 21 ოქტომბრის N4059157 განცხადება, პროცესის დისტანციური ფორმით წარმართვაზე; 2020 წლის 5 ნოემბრის განცხადება N4083076, მორიგების აქტის ზეპირი მოსმენით დამტკიცებაზე) წარადგინეს თბილისის საქალაქო

სასამართლოში, საქმეზე N20507-20. განცხადებები ხელმოწერილია მხოლოდ ლენა ონიანისა და ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ და შინაარსობრივი თვალსაზრისით მომგებიანია ლენა ონიანისათვის. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 12 ნოემბერს წარადგინა განცხადება N4100788, სადაც მიუთითა, რომ უარს ამბობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინების (საქმე N20507-20) გასაჩივრებაზე, რაც კლიენტს ართმევდა შესაძლებლობას საკუთარი ინტერესების დასაცავად მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის. 2020 წლის 12 ნოემბერს იმავე შინაარსის წერილით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ლენა ონიანმაც. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და განმარტების საპირისპიროდ, ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში არ წარმოდგენილა ისეთი მტკიცებულებები, რაც კომისიას სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაარწმუნებდა, რომ მერაბ სინაურიძე ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა ადვოკატის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე, საქმის მოსალოდნელ შედეგებზე და თანხმობას აცხადებდა ადვოკატს განეხორციელებინა სადავო საპროცესო მოქმედებები, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებით.

შესაბამისად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ადვოკატი მანანა ბაფერიძე მოქმედებდა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებით, თუმცა, არ დგინდება, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით და კლიენტის ინფორმირებით ახორციელებდა პროფესიულ ვალდებულებებს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინება (საქმე N2/20507-20) მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

3. ლენა ონიანისა და ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ერთობლივად წარდგენილი განცხადება 2020 წლის 5 ნოემბერს (განცხადება N4081391);

4. ლენა ონიანისა და ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ერთობლივად წარდგენილი განცხადება და მორიგების აქტი 2020 წლის 19 ოქტომბერს (განცხადება N4031986);

5. ლენა ონიანისა და ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ერთობლივად წარდგენილი განცხადება 2020 წლის 5 ნოემბერს (განცხადება N4083076);

6. ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 12 ნოემბერს წარდგენილი განცხადება N4100788;

7. ლენა ონიანის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2020 წლის 12 ნოემბერს წარდგენილი განცხადება N4100784.

6 **შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა მათ მიერ წარმოდგენილი მასალები და დაადგინა, რომ მანანა ბაფერიძის მიერ დარღვეულია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის, დამოუკიდებლობის, კლიენტის მითითებებით მოქმედებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(ა), 6.2, 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 5, 6.1, 8.1, 8.5, და 8.6).

7 **სამართლებრივი შეფასება:**

7.1 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია, რომ მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა (საქმე N2/20507-20) და კლიენტის ინფორმირების გარეშე, მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებით, განახორციელა საპროცესო მოქმედებები.

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან. ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 8.1).

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული

კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

7.2 ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულებების კეთილსინდისერი და კვალიფიცურად შესრულება, მჭიდრო კავშირშია კლიენტის ინფორმირების ვალდებულებასთან და ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა კლიენტს ჯეროვნად, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს ზუსტი და სწორი ინფორმაცია საქმეზე. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ფაქტიდან, რომ კლიენტი წარმოადგენს შედეგით დაინტერესებულ პირს, რომლის ინტერესებსა და უფლებებზე ადვოკატის ქმედებები პირდაპირ და უშუალო ზემოქმედებას ახდენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა დაცვის სტრატეგია შეათანხმოს კლიენტთან და მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია საქმის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, ზედმიწევნით განუმარტოს მას საკითხები, ვინაიდან კლიენტს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისიის“, 25.07.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N096/11; ეთიკის კომისიის 24.09.2020 წლის გადაწყვეტილება, საქმე N013.20; ეთიკის კომისიის 28.02.2019 წლის გადაწყვეტილება, საქმე N084/18; ეთიკის კომისიის 17.12.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N116.18; ეთიკის კომისიის 10.03.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე N022/16).

7.3 პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს იმოქმედოს კლიენტის კანონიერი მითითებების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებითა და დავალებით, მისი სახელით შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად აუცილებელი საპროცესო მოქმედებები, და სათანადოდ დაიცვას კლიენტის ინტერესები (ეთიკის კომისიის 10.03.2017 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N022/16; ეთიკის კომისიის 28.02.2019 წლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18; ეთიკის კომისიის 25.07.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N096/11).

7.4 „კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელოს პროფესიული საქმიანობა. ადვოკატებმა პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე“ (ეთიკის კომისიის 22.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N026/17).

7.5 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2010 წლის 19 თებერვალს, მერაბ სინაურიძემ ადვოკატ მანანა ბაფერიძეს სანოტარო წესით გაუფორმა რწმუნებულება განუსაზღვრელი ვადით, რომელიც მოპასუხე ადვოკატმა მისი კლიენტის თანხმობის გარეშე, დაახლოებით 10 წლის შემდეგ (2020 წელს), კვლავ გამოიყენა მისივე კლიენტის წინააღმდეგ. კომისიამ ვერ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტები, რომ კლიენტის ქონების კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეზე გადაფორმება კლიენტის მითითებით შესაბამისად მოხდა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს

მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.06.2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1338-1376-2014). ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ხასიათიდან და თავისებურებიდან გამომდინარე, ადვოკატ მანანა ბაფერიძეს ეკისრებოდა ვალდებულება, პროფესიული მოვალეობები შეესრულებინა კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს, რომ მის მიერ განხორციელებული მოქმედებები მოწონებული უნდა ყოფილიყო უშუალოდ კლიენტის მიერ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატ მანანა ბაფერიძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას და არა მომჩივანს, რომელიც უარყოფს ადვოკატის მხრიდან ინფორმაციის მიღებას. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატს კლიენტის ინფორმირების შესახებ კომისისთვის უნდა წარედგინა დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებები; კლიენტისათვის ცნობილი იყო ადვოკატის მირ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შესახებ და სრულად იწონებდა ადვოკატის სტრატეგიას - დათანხმებოდა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას.

7.6 კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, იყოს დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, როგორც გარეშე პირთა, ისე საკუთარი ინტერესებისაგან და ყველაზე მაღლა დააყენოს კლიენტის კანონიერი ინტერესი. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას, რაც განპირობებულია ადვოკატის პროფესიის როლით. საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი ადასტურებს, რომ მერაბ სინაურიძის მეუღლემ, ლენა ონიანმა და ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ გააფორმეს მორიგების აქტი, რომელშიც ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარეს რამდენიმე გარემოებაში ეთანხმება. პირველი, 2019 წლის 8 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულება გაუქმებულიყო, რომლის საფუძველზეც მერაბ სინაურიძე გახდა უძრავი ქონების მესაკუთრე. მეორე, ლენა ონიანი გამხდარიყო მერაბ სინაურიძის საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე და ბოლოს მერაბ სინაურიძეს მისცემოდა ვადა 2021 წლის 1 აპრილამდე, რომ ლენა ონიანისთვის გადაეხადა 175 000 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარი და ლენა ონიანი ისევ გადაუფორმებდა უძრავ ქონებას მერაბ სინაურიძეს. საჩივრის ავტორს მორიგების აქტის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია. მორიგების აქტი ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ და ლენა ონიანმა სასამართლოში წარადგინეს. 2020 წლის 9 ნოემბრის მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებით, სამოქალაქო საქმეზე N2/20507-20 შეწყდა საქმის

წარმოება. სასამართლო ბათილად ცნო ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრში მერაბ სინაურიძის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება მიენიჭა ლენა ონიანს - მერაბ სინაურიძის მოწინააღმდეგე მხარეს. გარდა ამისა, ადვოკატმა მანანა ბაფერიძემ 2020 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა განცხადებით, სადაც მიუთითა, რომ უარს ამბობდა ამბობს 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინების გასაჩივრებაზე, რაც კომისიის შეფასებით არ წარმოადგენს კლიენტის ინტერესების შესაბამის მოქმედებას. კლიენტის უძრავი ქონების მის ყოფილ მეუღლეზე გადაცემის შესახებ დავალების მიღებას მოპასუხე ადვოკატი მხოლოდ საკუთარი და საქმის შედეგებით პირდაპირ დაინტერესებული პირის განმარტებით ადასტურებს, რასაც ვერ გაიზიარებს ეთიკის კომისია. კომისია სარწმუნოდ ვერ ჩათვლის ლენა ონიანის ახსნა-განმარტებას, რადგან ის არის საქმის შედეგით პირდაპირ დაინტერესებული პირი, რომელზედაც, ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების გარეშე სარჩელის ჩაბარებით და მორიგების პირობებზე თანხმობის გაცხადებით გადაფორმდა მომჩივანი მხარის უძრავი ქონება და შესაბამისად, ადვოკატ მანანა ბაფერიძის ქმედების შედეგად, კლიენტს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი. შესაბამისად, მხოლოდ მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტება, რომ ის მოქმედებდა კლიენტის იფორმირებით, კლიენტის მითითებების შესაბამისად, საკმარისი არ არის სარწმუნო მტკიცების სტანდარტისათვის, რათა კომისია დარწმუნდეს ადვოკატის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაში. ადვოკატს ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას არ წარმოუდგენია კლიენტის ინფორმირების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადვოკატი მითითებებს იღებდა უშუალოდ კლიენტისაგან და არა მისი მოწინააღმდეგე მხარისგან. ადვოკატს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ კლიენტი თანხმობას აცხადებდა ადვოკატის სტრატეგიაზე.

7.7 კომისიის შეფასებით, მოპასუხე ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას და არ მოქმედებდა მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად; ადვოკატი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, მაშინ, როდესაც არ აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას მომჩივანის წინააღმდეგ სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე; ადვოკატმა არაკვალიფიციური წარმომადგენლობაც განახორციელა, რადგან არ შეათანხმა დაცვის სტრატეგია კლიენტთან, რითაც კლიენტს მიადგა მატერიალური ზიანი. კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატისათვის, როგორც სპეციალური ცოდნისა და უნარების მქონე პირისათვის, კარგად იყო ცნობილი რა თანმდევი შედეგები მოჰყვებოდა მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს და რა მატერიალური ზიანის გამომწვევი იქნებოდა ის კლიენტისათვის. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები კლიენტისათვის ინფორმაციის ჯეროვნად მისაწოდებლად და არ დააზუსტა კლიენტის ნება, კერძოდ, არ მოიპოვა კლიენტის ინფორმირებული თანხმობა მორიგების პირობებზე და ამის საპირისპიროდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმისწარმოებისას, კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან ერთად წარადგინა განცხადებები და მორიგების აქტი, რითაც ადვოკატმა დაარღვია კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კლიენტის მითითებებით მოქმედების ეთიკური ვალდებულებები. კომისიის შეფასებით, მსგავსი ეთიკური გადაცდომები უმძიმესია. ამგვარი ქმედებები მნიშვნელოვნად აზიანებს ადვოკატის

პროფესიისადმი საზოგადოებაში არსებულ ნდობას და არ შეესატყვისება ადვოკატის როლს მართლმსაჯულების სისტემაში.

7.8 კომისიამ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ადვოკატის ქმედებები შეაფასა ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობაში და სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5 (ა); 6.2 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე- 5; 6.1; 8.1; 8.5 და 8.6 მუხლები.

7.9 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

7.10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

7.11 დისციპლინური სახდელის შეფარდებისას ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა იმ ფაქტებით, რომ საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამავდროულად, ადვოკატის ქმედებების შედეგად, კლიენტს მიადგა ფინანსური ზიანი და დაკარგა სოლიდური ღირებულების უძრავი ქონება. ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებიც: ფაქტი, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული და გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიის შეფასებით, არ არსებობს ადვოკატ მანანა ბაფერიძისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა გადაცდომათა განსაკუთრებული სიმძიმისა და სიმრავლის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიის შეფასებით, უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები (გაფრთხილება და/ან კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული გადაცდომების პრევენციასა და დისციპლინირების მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ მანანა ბაფერიძეს უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით, რაც წარმოადგენს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების მიმართ პროპორციულ და თანაზომიერ სახდელს.

7.12 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1 35 (პრიმა).1 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 19, 39 და 40 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №095/22 დადგინდეს ადვოკატ მანანა ბაფერიძის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ მანანა ბაფერიძის /სიითი №0114/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

   დისციპლინურ საქმეს ერთვის კომისიის წევრის - ოთარ კაჭკაჭაშვილის განსხვავებული აზრი.

   დისციპლინურ საქმეს ერთვის კომისიის წევრის - ბესიკ ქარცივაძის განსხვავებული აზრი.

კომისიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კომისიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კომისიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კომისიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კომისიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

კომისიის წევრი: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კომისიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კომისიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კომისიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის წევრის ოთარ კაჭკაჭაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №095/22 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომელთა მიერ დისციპლინურ საქმეზე N095/22 მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე (შემდგომში „გადაწყვეტილება“), რომლის მიხედვითაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა მანანა ბაფერიძისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით. აღვნიშნავ, რომ სრულად ვეთანხმები ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ დისციპლინური გადაცდომის დადგენაში, თუმცა მაქვს განსხვავებული აზრი ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახესთან დაკავშირებით.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეებს, თუმცა არ ადგენს, თუ რა გარემოებები მიიღება მხედველობაში მათი შერჩევისას უფლებამოსილი ორგანოს მიერ. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება“-ის (შემდგომში „დებულება“) 2.5 მუხლით განსაზღვრულია, რომ „ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი“. აღნიშნული გარემობები კომისიის მიერ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა, მათ შორის დისციპლინური სახდელი, პროპორციული და თანაზომიერი იყოს. კომისიამ უნდა დაიცვას ბალანსი და წონასწორობა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. პროპორციულობის განსაზღვრისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22/05/2017 წლის გადაწყვეტილებაში (საქმე Nდს-შ/3-17), მითითებულია, რომ „.....სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, ოჯახური მდგომარეობის, გადაცდომის

სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია....". საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები გაზიარებულია ეთიკის კომისიის მრავალწლიან პრაქტიკაში: „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17; ეთიკის კომისიის 2023 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N021/22; ეთიკის კომისიის 2023 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N076/21).

მითითებულ შემთხვევაში, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადოკატმა არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე, კლიენტის ინფორმირების გარეშე, იმოქმედა მოწინააღმდეგე მხარის მითითებების შესაბამისად, ცნო სარჩელი, რის გამოც კლიენტმა დაკარგა საკუთრების უფლება სოლიდური ღირებულების უძრავ ქონებაზე და მიადგა მატერიალური ზიანი. ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ისეთი ნორმები, როგორებიცაა: „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა, 6.2 (კლიენტის კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და ინფორმირების ვალდებულებები); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5, 6.1 8.1, 8.5 და 8.6, მუხლები (ნდობის, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის, ინტერესთა კონფლიქტის, კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულებები). ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ის ფაქტები, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული, მას არ აქვს შეფარდებული დისციპლინური სახდელი და მიიჩნია, რომ ადვოკატისათვის, მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების თანაზომიერი სახდელია საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით, რაც, ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების სიმრავლის, საქმისადმი მისი პირადი დამოკიდებულებისა და კლიენტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს ჩადენილი დარღვევების პროპორციულ სახდელს.

დასახელებულ შემთხვევაში, ყურადღება მინდა გავამახვილო რამდენიმე ფაქტზე: ადვოკატმა არ იმოქმედა კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი არაერთი ქცევის სტანდარტი, იმოქმედა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის მითითებების შესაბამისად, რის გამოც კლიენტმა დაკარგა სოლიდური

ღირებულების (175000 აშშ დოლარი) უძრავი ქონება და მიადგა მატერიალური ზიანი. საყურადღებოა თავად ადვოკატის პირადი დამოკიდებულებაც, კერძოდ, ადვოკატმა არ გამოხატა სინანული და ეთიკის კომისიის 2023 წლის 10 და 20 ოქტომბრის სხდომებზე განაცხადა, რომ მას არ ჩაუდენია დისციპლინური გადაცდომა და კლიენტის მიმართ დაკისრებულ მოვალეობებს ჯეროვნად ასრულებდა. ჩამოთვლილი ფაქტები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებლად მიმაჩნია ადვოკატის მიმართ სახდელის უფრო მკაცრი ზომის გამოყენება. შესაბამისად, მივიჩნევ რომ ადვოკატ მანანა ბაფერიძისათვის ჩადენილი გადაცდომების თანაზომიერ სახდელს წარმოადგენს სახდელის უფრო მკაცრი ფორმა - ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

შესაბამისად, ვხელმძღვანელობ დებულების 35.2 მუხლით და მიმაჩნია, რომ დებულების 2.5 და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1.(გ) მუხლების საფუძველზე ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დისციპლინური სახდელი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

ოთარ კაჭკაჭაშვილი

ეთიკის კომისიის წევრი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის წევრის ბესიკ ქარცივაძის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №095/22 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ ღრმა პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომელთა მიერ დისციპლინურ საქმეზე N095/22 მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე, რომლის მიხედვითაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა მანანა ბაფერიძისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით. აღვნიშნავ, რომ სრულად ვეთანხმები ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიერ დისციპლინური გადაცდომის დადგენაში, თუმცა მაქვს განსხვავებული აზრი ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახესთან დაკავშირებით.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეებს, თუმცა არ ადგენს, თუ რა გარემოებები მიიღება მხედველობაში მათი შერჩევისას უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ადვოკატისათვის

დისციპლინური სახდელის ზომის განსაზღვრისას, კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებას და მხედველობაში იღებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა დამრღვევის პიროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, არის თუ არა დამრღვევი დისციპლინირებული ან შეფარდებული ხომ არ აქვს სახდელი და სხვა შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ გარემოებებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22/05/2017 წლის გადაწყვეტილება საქმეზე Nდს-შ/3-17). ადვოკატისათვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, მათ შორის დისციპლინური სახდელი, ჩადენილი გადაცდომის პროპორციული და თანაზომიერი იყოს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.“ ცალსახაა, რომ კოდექსის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატის დასჯა.

საყურადღებოდ მიმაჩნია ის გარემოება, რომ ადვოკატი მანანა ბაფერიძე, მერაბ სინაურიძის ოჯახის ადვოკატს წლების განმავლობაში წარმოადგენდა და როგორც პირადად მერაბ სინაურიძეს, ასევე მისი ოჯახის წევრებსაც არაერთხელ გაუწია სამართლებრივი დახმარება. ადვოკატს ჰქონდა კლიენტისაგან მიღებული მინდობილობა, რომელიც კლიენტმა მას სანოტარო წესით გაუფორმა 19.02.2010 წელს. მინდობილობით, ადვოკატს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება ეწარმოებინა კლიენტის სამოქალაქო საქმე სასამართლოში და საქმე დაემთავრებინა მორიგებით. მინდობილობა გაიცა განუსაზღვრელი ვადით და იმის მიუხედავად, რომ კლიენტს შეეძლო მინდობილობა ნებისმიერ დროს გაეუქმებინა, მას ეს არ გაუკეთებია. შესაბამისად, კლიენტის ნება, ადვოკატ მანანა ბაფერიძეს წარმოედგინა მისი ინტერესები, დოკუმენტურად დადასტურებულია.

მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ისეთი გარემოებები, როგორებიცაა, ადვოკატ მანანა ბაფერიძის პიროვნება, წლების მანძილზე მის მიერ განხორციელებული საადვოკატო საქმიანობის შედეგად შექმნილი კარგი რეპუტაცია, ფაქტები, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული და მას კომისიის მიერ შეფარდებული არ აქვს დისციპლინური სახდელი, ყურადსაღებია დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას. შესაბამისად, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ადვოკატი მოქმედებდა მისთვის კლიენტის მიერ გაფორმებული რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და არსებობს მისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი არაერთი გარემოება, პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი მიზნის მიღწევა შესაძლებელია ადვოკატისათვის ნაკლებად მკაცრი სახდელის გამოყენებით.

შესაბამისად, ვხელმძღვანელობ დებულების 35.2 მუხლით და მიმაჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1.(ა) მუხლის საფუძველზე ადვოკატ მანანა ბაფერიძის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დისციპლინური სახდელი გაფრთხილების სახით.

ბესიკ ქარცივაძე

ეთიკის კომისიის წევრი